ოქმი #1

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 15 იანვრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე (სწავლული მდივანი) (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინსტიტუტის 2018 წლის სამეცნიერო ანგარიშის განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც წარმოადგინა ინსტიტუტის 2018 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში (აღნიშნული ანგარიში ოქმს თან ერთვის).

სამეცნიერო საბჭომ დადებითად შეაფასა ინსტიტუტის 2018 წლის სამეცნიერო ანგარიში.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2018 წლის სამეცნიერო ანგარიში წარმოდგენილი სახით წარედგინოს თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე